

განრიდების პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდების  
ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების  
გამოცდილების შემსწავლელი კვლევა

ნინო იზორია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ირმა კირთაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2025

## აბსტრაქტი

შესავალი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მყოფ ახალგაზრდებში გავრცელებულ სირთულეს წარმოადგენს, ალკოჰოლისა და სხვადასხვა სახის ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარება. არსებობს კავშირი ფსიქოაქტიურ საშუალებების მოხმარებასა და დანაშაულის ჩადენას შორის. ქვეყანაში ნაკლებად არის შესწავლილი განრიდების პროგრამაში მყოფი ახალგაზრდების ნივთიერების მოხმარების გამოცდილება და ამასთან დაკავშირებული ფაქტორები.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია, განრიდების პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების გამოცდილების შესწავლა და იმ პიროვნული და სოციალური ფაქტორების შეფასება, რომლებიც გავლენას ახდენენ მათი ნივთიერების მოხმარების ქცევაზე.

კვლევის მეთოდი: კვლევა განხორციელდა შერეული მეთოდით, ჩატარდა ჩაღრმავებული ინდივიდუალური ინტერვიუები. ასევე ინტერვიუს მონაწილეებმა ელექტრონულად შეავსეს ASSIST (ალკოჰოლის, თამბაქოს და ნივთიერებების მოხმარების სკრინინგ-ტესტი) კითხვარი. ინტერვიუების ჩაწერა მიმდინარეობდა აუდიო ფორმატში, მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზით.

შედეგები: კვლევაში მონაწილეობა მიიღო 12-მა ახალგაზრდამ (18-21 წლის), რომლებიც თბილისის პრობაციის ეროვნულ სააგენტოში განრიდების პროგრამის მონაწილეები არიან და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების გამოცდილება აქვთ. რესპონდენტების უმრავლესობას (66.7%) არ ჰქონდა სრული საშუალო განათლება მიღებული, ხოლო დასაქმებულთა დიდი ნაწილი მუშაობდა დროებით სამუშაოებში. კვლევამ აჩვენა, რომ პირველადი მოხმარება უმეტესად 12-15 წლიდან იწყებოდა, ხშირ შემთხვევაში სამეგობრო წრეში, რეკრეაციული მიზნით. ველაზე გავრცელებული ფსიქოაქტიური ნივთიერებები იყო თამბაქო, ალკოჰოლი და მარიხუანა. თუმცა მოხმარების გამოცდილება არსებობდა ასევე ისეთ ნივთიერებებთან დაკავშირებით, როგორიცაა: პეპ, კოკაინი, ამფეტამინი და სხვა. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება ხშირ შემთხვევაში ემოციური რეგულაციის მექანიზმად იყო გამოყენებული, თუმცა ინტერვიუებში იკვეთებოდა მათი დროებითი ეფექტის განცდა და შემდგომი ემოციური გაუარესება. მრავალი რესპონდენტი ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარებას ტრავმულ გამოცდილებას, ფსიქიკურ სირთულეებსა და სტრესის მართვის პრობლემებს

უკავშირებს. ასევე, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ემოციური კავშირები ოჯახსა და თანატოლებთან, განსაკუთრებით დედასთან, ხოლო მამებთან ურთიერთობა ხშირ შემთხვევაში დისტანციური ან გაწყვეტილი იყო. კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებისგან მიღებული ინფორმაციით, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე წვდომა მათთვის სირთულეს არ წარმოადგენს. ასევე გამოიკვეთა საზოგადოებრივი სტიგმის, სახელმწიფოსადმი უნდობლობის და დახმარების სერვისების ხელმიუწვდომლობის განცდა.

დასკვნა: კვლევამ აჩვენა, რომ არასრულწლოვანთა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება მჭიდროდ უკავშირდება ადრეულ ასაკში განცდილ ტრავმებს, ოჯახურ დინამიკას, ემოციური რეგულაციის სირთულეებსა და სოციალურ გარემოს. მოხმარება ხშირ შემთხვევაში იწყებოდა მოზარდობის ადრეულ ეტაპზე და ასოცირდებოდა შფოთვისა და დეპრესიულ ეპიზოდებთან. განსაკუთრებით გამოიკვეთა დედის ემოციური მხარდაჭერა. ასევე, აღინიშნა მშობლებთან კომუნიკაციის ბარიერები და მამის დისტანციურობა. სკოლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და საცხოვრებელი უბნის სოციალური კონტექსტი, მნიშვნელოვანი ფაქტორები აღმოჩნდა.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოაქტიური ნივთიერებები, გამოცდილება, განრიდების პროგრამა

## Abstract

### Introduction:

Among young individuals involved in the juvenile justice system, one of the most pressing challenges is the use of psychoactive substances, including alcohol and various drugs. Numerous studies have shown a link between substance use and criminal behavior. However, in Georgia, there is limited research on the experiences of youth participating in diversion programs, particularly in relation to substance use and its underlying factors.

### Objective:

The aim of this study is to explore the experiences of psychoactive substance use among young people involved in a diversion program and to examine the personal and social factors that influence their behavior.

### Methodology:

This mixed-methods study involved in-depth individual interviews and the administration of the ASSIST (Alcohol, Smoking and Substance Involvement Screening Test) questionnaire, which participants completed electronically. Interviews were recorded in audio format and analyzed using thematic analysis.

### Results:

The study involved 12 participants aged 18–21, all enrolled in the diversion program at the National Probation Agency in Tbilisi. Each had experience using psychoactive substances. The majority (66.7%) had not completed secondary education, and most were engaged in temporary or unstable employment.

Initial substance use typically began between the ages of 12 and 15, often within peer groups and for recreational purposes. The most commonly used substances were tobacco, alcohol, and marijuana, though some participants also reported using PVP, cocaine, amphetamines, and other drugs.

Psychoactive substances were frequently used as a mechanism for emotional regulation. However, participants often described only short-term relief followed by emotional decline. Many respondents associated their substance use with past trauma, mental health challenges, and difficulties in coping with stress.

Family dynamics emerged as a significant factor. Strong emotional ties with mothers were frequently mentioned, while relationships with fathers were often described as distant or absent.

Additional influential factors included negative attitudes toward school, the social environment of their neighborhoods, and peer relationships.

Notably, access to drugs was not perceived as a barrier for these young individuals. Many expressed a sense of stigma from society, distrust toward state institutions, and a lack of access to support services.

#### Conclusion:

The findings indicate that substance use among youth in the diversion program is closely linked to early-life trauma, family dynamics, emotional regulation difficulties, and broader social context. Substance use often began in early adolescence and was associated with anxiety and depressive episodes. Maternal emotional support emerged as a protective factor, while paternal absence or detachment was seen as a risk factor. Negative perceptions of school and the influence of the residential environment were also significant.

Keywords: psychoactive substances, experience, diversion program.